



[RSS](#)



უზრუნველყავი შენი მომავალი - ისწავლე ჩვენთან!
 ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [ახალი ამბები](#) / [ორი ღვარცოფი სამ თვეში დარიალის ხეობაში](#)
2014.08.21

ორი ღვარცოფი სამ თვეში დარიალის ხეობაში

[სტიქია](#),

ნინო ნატროშვილი

ამავე თემაზე:

[რამ გამოიწვია სტიქია დარიალის ხეობაში დარიალის ხეობაში სტიქიის შედეგად ორი ადამიანი დაიკარგა ღარიბაშვილი: სტიქიის ზონაში შექმნილია საგანგებო შტაბი და შეყვანილია ტექნიკა დევდორაკის ხეობაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს სტიქიის გამო საქართველოდან რუსეთში ექსპორტი მეორედ შეწყდა ღარიბაშვილი: გაზსადენი, რომლითაც სომხეთი მარაგდება, 2-3 დღეში აღდგება](#)

ბოლო სამი თვის განმავლობაში დევდორაკის ხეობაში მეწყერი ორჯერ, 17 მაისს და 20 აგვისტოს ჩამოწვა. რა გახდა ღვარცოფის მიზეზი და შესაძლებელი იყო თუ არა სტიქიის პროგნოზირება?

რეკლამა
350*90

20 აგვისტოს, საღამოს 22 საათზე, დევდორაკის ხეობაში ღვარცოფულმა ნაკადმა გაიარა, ეს ის ადგილია, სადაც 17 მაისს კლდოვან-ყინულოვანი მასა მოწყდა. ღვარცოფული გავლის შედეგად 350–400 ათასი კუბი მიწა ჩამოვიდა, რის გამოც სამხედრო გზის მონაკვეთი მწყობრიდან გამოვიდა, ჩრდილოეთ–სამხრეთის 1200 მილიმეტრიანი მაგისტრალური გაზსადენი დაზიანდა, ასევე დაზიანდა ლარსის ჰესი, დაიტბორა ლარსის საბაჟო–გამშვები პუნქტი და “დარიალჰესის” გვირაბი.

ამ დროსათვის სამშველო სამსახური ორ ადამიანს ეძებს, რომლებიც სტიქიის ზონაში დაიკარგნენ.

გარემოს დაცვის სამინისტროში [17 მაისს მომხდარი სტიქიის დროსაც](#) და დღესაც აცხადებენ, რომ სტიქიური უბედურება “დარიალჰესის” მშენებლობას არ უკავშირდება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი მერაბ გაფრინდაშვილი “ნეტგაზეთთან” საუბრისას აცხადებს, რომ ჩამოწოლილი მასა მაისში მომხდარი სტიქიის დროინდელი მასალაა, რომელიც უხვი ნალექის შედეგად დაიძრა:

“არავითარი კავშირი “დარიალჰესის” მშენებლობას დევდოარკის ღვარცოფთან არ აქვს. მშენებარე ჰესი მდებარეობს მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე. რაც შეეხება დევდოარკს, ეს არის მარცხენა შენაკადი. ღვარცოფი, რომელიც ჩამოყალიბდა 17 მაისს, 11-ნახევარი კილომეტრით არის დაშორებული “დარიალჰესიდან”. 17 მაისის სტიქიის დროს ჰესის სატრანსპორტო გვირაბმა ძალიან დადებითი როლი ითამაშა, ამ გვირაბმა გაატარა ქვა-ლორღოვან-ყინულოვანი მასა. მდინარე თერგის შეგუბება იმ მასშტაბებით არ მოხდა წყალსაცავის ქვედა დინებაში. ის, რომ ამ მშენებლობამ ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა ღვარცოფულ მოვლენებზე და პროვოცირება მოახდინა, ეს გამორიცხულია. არ ყოფილა იმ დონის ტექტონიკური ძვრები.” – განაცხადა მერაბ გაფრინდაშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაციის “შწვანე ალტერნატივა” წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილიც “ნეტგაზეთთან” საუბრისას ამბობს, რომ ჰესის მშენებლობა დარიალის ხეობაში სტიქიის მიზეზი ვერ გახდებოდა, თუმცა, მისი აზრით, დევდოარკის ხეობა რისკის ზონაა და ამ ტერიტორიაზე ჰესის მშენებლობა ადამინების სიცოცხლეს მუდმივად შეუქმნის საფრთხეს:

“მდინარე დევდოარკის მცინვარიდან, ადრე თუ გვიან, 5–10 წელიწადში მაინც მოხდებოდა ზვავების ჩამოწოლა, ღვარცოფები, მეწყერები. შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტროს ბრალია, როცა ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში არ თქვა, რომ ამ ტერიტორიაზე ჰესის აშენება არ შეიძლება. ეს არის საშიში იმ ადამინების სიცოცხლისათვის, ვინც ჰესზე იქნება დასაქმებული და ასევე ეკონომიკურ მოგებას ვერ მოუტანს ინვესტორს, რაც უწერია ბიზნესგეგმაში, ვინაიდან მუდმივად იქნება სტიქიის საფრთხის ქვეშ ეს ენერგობიექტი”,- ამბობს მაჭარაშვილი.

17 მაისს დარიალის ხეობაში მომხდარმა სტიქიამ 7 ადამინი იმსხვერპლა. 5 გარდაცვლილი ნაპოვნია, ხოლო ორი ამ დრომდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. 20 აგვისტოს სტიქიის შედეგად კი ამ დრომდე ეძებენ ორ ადამინს.

შესაძლებელი იყო თუ არა 17 მაისის ღვარცოფის შემდეგ მოსალოდნელი სტიქიის პროგნოზირება და უნდა შეჩერებულიყო თუ არა “დარიალჰესის” მშენებლობა დროებით მაინც?- ამ შეკითხვებზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი პასუხობს, რომ სტიქიის პროგნოზირება შეუძლებელი იყო:

“მსგავსი ტიპის ღვარცოფების თუ მეწყერების ჩამოყალიბებისთვის ყველა ღვარცოფული წყალსადინარი, ეს ხევი იქნება თუ მდინარე, მათ შორის დევდოარკიც, პერიოდული აქტივიზაციით ხასიათდება. ეს აქტივიზაცია, ოდესღაც შეიძლება ციკლურობას ემორჩილებოდა, მაგრამ დღეისათვის პრაქტიკულად არანაირ კანონზომიერებას არ ემორჩილება. შეუძლებელია პროგნოზირება. ჩვენ ვიცით, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესი, მაგრამ დროში ამის განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია”,- ამბობს ის.

“შწვანე ალტერნატივის” წარმომადგენლის, ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, დარიალის ხეობაში 17 მაისის შემდგომ სტიქიის განმეორება მოსალოდნელი იყო:

“შეიძლება ვერ ეთქვას, რა დროში მოხდებოდა სტიქია. ის, რომ მოხდებოდა, თავისთავად ცხადი იყო. 17 მაისს, როცა მასა მოწყდა მცინვარიდან, დაახლოებით 5 მილიონი კუბური მეტრი მიწა ჩამოვიდა. მთის ძირამდე ჩამოაღწია ერთმა მილიონმა კუბურმა მეტრმა და დროთა განმავლობაში დანარჩენიც წამოვიდოდა, რადგან ამ მიწის მასის გამოტანა ტექნიკით შეუძლებელია”. - ამბობს ის.

მისივე თქმით, 17 მაისის სტიქიის შემდეგ “დარიალჰესის” მშენებლობა ან უნდა შეეჩერებინათ, ან ობიექტის დროებით დაკონსერვება მომხდარიყო:

“საინტერესოა, რას აპირებენ? რაღაც პერიოდულობით უნდა გაწირონ ადამინები, რომლებიც ამ ჰესზე მუშაობენ? თანაც პროექტი ვერ იქნება ეკონომიკურად მომგებიანი: ჰიდროელექტროსადგური რამდენ დენს გამოიმუშავებს და რამდენ ეკონომიკურ მოგებას მოიტანს, ეს არის დამოკიდებული მდინარის ჩამონადენზე. ანუ, რამდენად სუფთა წყლი იქნება მომარაგებული. რაც უფრო მეტი ნატანი იქნება, ეს ნიშნავს, რომ ნაკლებ დენს გამოიმუშავებს ჰესი.”

“დარიალჰესის” პროექტის შეჩერების ან დაკონსერვების შესახებ დღეს არც მთავრობას და არც ინვესტორს არაფერი უთქვამს . [პრემიერ-მინისტრ](#) ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით სტიქიის სალიკვიდაციო შტაბი შეიქმნა. მალე გახდება ცნობილი დარიალის ხეობაში 20 აგვისტოს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ფინანსური ზარალი.

დარიალის ხეობაში, მდინარე თერგზე მიმდინარე ჰესის მშენებლობას გარემოსდაცმველი ორგანიზაციები უკვე წლებია [აპოტესტებენ](#). 2012 წელს ყაზბეგის რაიონ სოფელ გერგეთში ორგანიზაციამ ”შწვანე ალტერნატივა” და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციამ ”სტეფანწმინდა” აქციაც გამართეს. ისინი ჯერ კიდევ 2 წლის წინ ამბობდნენ, რომ ამ მშენებლობას გარკვეული ნეგატიური ცვლილებების გამოწვევა შეეძლო.



21 აგვისტოს, მეწყერი დევდარაკის ხეობაში გვიან ღამით ჩამოწვა. ჩაკეტილია ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტი. მაშველები სტიქიის შედეგად ორ დაკარგულს ეძებენ.

150
დეკუთადი
ევროპის შესახებ

პერსონალური ისტორიები და პოლიტიკური გადაწყვეტილება

Like 69

+1 2

Tweet 0

ამავე თემაზე:

- [მინისტრი დარიალის სტიქიაზე: ამ სიტუაციის თავიდან ასაცილებლად გვირავის პროექტირებას ვგეგმავთ](#) 2014.08.22
- [შსს: დარიალის ხეობაში ჩარჩენილი 70 პიროვნება ვერტმფრენით ყაზბეგში გადაჰყავთ](#) 2014.08.21
- [გიორგი მარგველაშვილი ყაზბეგში გაემგზავრა](#) 2014.08.21
- [საქართველოდან სომხეთში გაზის ტრანზიტით დროებით შეწყდა](#) 2014.08.21
- [ხაშურის სოფლები, ქვიშხეთი და ბულბულისწყარო, სტიქიამ დააზარალა](#) 2014.08.13
- [რიკოტზე საავტომობილო მოძრაობა აღდგა](#) 2014.06.20
- [რიკოტის უღელტეხილთან საავტომობილო მოძრაობა ისევ გადაიკეტა](#) 2014.06.17

კომენტარი